სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 აპრილი 2026

N 21/5350

შპს „ელბა ექსპორტი“-ს
ელ. ფოსტა: exportelba@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №4095 წერილით წარმოდგენილი, ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირის და კომბინირებული სასუქის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების, მათ შორის, ასპირაციული სისტემის პარამეტრების/მონაცემების შედარებითი ანალიზი საბაზისო პროექტთან მიმართებით. ამასთან shp-ფაილში ასახული უნდა იყოს საწარმოში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტები;

ბ) ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, საწარმოში ძირითად საწვავად ბუნებრივი აირის ნაცვლად ქვანახშირის (ანტრაციტი) გამოყენებაა გათვალისწინებული, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ამ ცვლილების საჭიროების სათანადო დასაბუთება, აგრეთვე, აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შედარებით ანალიზი საბაზისო პოექტთან მიმართებით;

გ) სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით იზრდება საწარმოს წარმადობა და დღე-ღამეში 150 ტონა კირის ნაცვლად იწარმოება 200 ტონა კირი. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის გაანგარიშებაში გ-1 წყაროდ განხილულია დღე-ღამეში 150 ტონა წარმადობის კირის გამოწვის შახტური ღუმელი. ვინაიდან საწარმოში დაგეგმილია დღე-ღამეში 200 ტონა კირის წარმოება, დაზუსტებას საჭიროებს კირის გამოწვის შახტური ღუმელის დღე-ღამური წარმადობა. ამასთან, გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს დღე-ღამეში კირის დასაფქვავი წისქვილის დღე-ღამური წარმადობის ცვლილების საჭიროების საკითხი;

დ) გაფრქვევის გაანგარიშებაში გ-1 წყაროს გაფრქვევის მილის სიმაღლედ მითითებულია მიწის პირიდან 43 მეტრი, ხოლო გაფრქვევის მილის დიამეტრად – 1,1 მეტრი, რაც არ შეესაბამება საწარმოს გენგეგმაზე (ნახაზი 1) დატანილ ინფორმაციას. შესაბამისად, მითითებული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს, ხოლო გაფრქვევის გაანგარიშება უნდა შესრულდეს დაზუსტებული მონაცემების გათვალისწინებით;

ე) სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოში წლიურად გამოყენებული ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 10 080 000 $მ^3$-ს, ხოლო გაფრქვევის გაანგარიშებაში მითითებულია, რომ ბუნებრივი აირის საათური ხარჯი შეადგენს 140 $მ^3$-ს. ვინაიდან საწარმო იმუშავებს წელიწადში 360 დღე, 24-საათიანი რეჟიმით, წლიურად გამოყენებული ბუნებრივი აირის ხარჯი საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო გაფრქვევის გაანგარიშება უნდა შესრულდეს დაზუსტებული მონაცემების გათვალისწინებით;

ვ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეოდ, ხანძარსაწინააღმდეგოდ და ასევე კაზმის მომზადების პროცესში ნედლეულის დასანამად.

ვინაიდან დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საწარმოში კომბინირებული სასუქის წარმოება აღარ განხორციელდება, ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენების საჭიროების შესახებდასაზუსტებელია.

ზ) სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია ინფორმაცია 02.07.01.298, 02.07.01.047, 02.07.01.465 და 02.07.01.037 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ფუქციური დანიშნულების შესახებ;

თ) საბაზისო პროექტით არაკონდიციური მასის გამოყენება გათვალისწინებული იყო კომბინირებული სასუქის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში. ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საწარმოში კომბინირებული სასუქის წარმოება აღარ მოხდება, დასაზუსტებელია წარმოქმნილი არაკონდიციური მასის შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/5350-21-2-202604201511